საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 592

05 08 2015 წ.

ქ. თბილისი

„საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარის ფორმისა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 5 ოქტომბრის №94 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, თამარ ზაალიშვილის 2015 წლის 15 ივლისის №696356 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარის ფორმისა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 5 ოქტომბრის №94 ბრძანებაში და

ა) დანართი №2 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) დანართი №5 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი — თამარ მახარაშვილი